

**შეხვედრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტში დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებთან**

3 ივლისს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტში გაიმართა შეხვედრა-სემინარი აღნიშნული ინსტიტუტისა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის წარმომადგენელთა მონაწილეობით. სემინარის მუშაობაში ასევე მონაწილეობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერების დეპარტამენტის უფროსი დ. თავხელიძე.

აღსანიშნავია, რომ ამ ორგანიზაციებს შორის სამეცნიერო-კვლევითი თანამშრომლობის ჩამოყალიბება ეფუძნება ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორს, როგორცაა მათემატიკური მეთოდების ეფექტური გამოყენება ჯანმრთელობის დაცვისათვის საჭირო მეთოდების შერჩევასა და შედეგების ინტერპრეტირებაში. უდავოა, რომ დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში თავმოყრილი სათანადო ინფორმაციის მათემატიკურ-სტატისტიკური ანალიზი ერთგვარი წინაპირობაა მართლზომიერი დასკვნებისა და პროგნოზების გასაკეთებლად სხვადასხვა მიმართულების სამედიცინო კვლევებში, მათ შორის, რაც დღეისათვის უმთავრესია, პანდემიური პროცესების მიმდინარეობისას.

სწორედ ქვეყანაში და მის გარეთ არსებული ეპიდემიური მდგომარეობის შესწავლასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას მიემდვნა შეხვედრა-სემინარის უმეტესი ნაწილი. მონაწილეები გაეცნენ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სპეციალისტთა მიერ პრევენტირებულ საინფორმაციო მასალებს. წარმოდგენილი იქნა კოვიდ 19-ის ფარგლებში ქართული ჯანდაცვისათვის ამ ეტაპზე აქტუალური ამოცანები, რომელთა გადაწყვეტაც მოითხოვს მათემატიკური სტატისტიკის მეთოდების გამოყენებას და, შესაბამისად, გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერ-მკვლევარების ჩართვას აღნიშნული პრობლემატიკის გადაწყვეტაში. ცენტრის მედიკოსთა მიერ დასმული ამოცანების განხილვისას შეთანხმდნენ, რომ უახლოეს პერიოდში მათემატიკოსთა მხრიდან, მათთვის ცენტრის სამედიცინო სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ გადაცემული ინფორმაციის დამუშავებისას, ძირითადი ყურადღება დაეთმობა მონაცემთა სტატისტიკურ შესწავლას:

1. კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყნის მიერ განხორციელებული ინტერვენციების მიხედვით;
2. კორონავირუსის დიაგნოზით ქვეყნის სტაციონარებიდან გაწერილი პაციენტების მახასიათებლების მიხედვით.

სამომავლო გეგმებზე საუბრისას ხაზი გაესვა ასეთი სახის სემინარების ინტენსიურად ჩატარების აუცილებლობას და სამეცნიერო თანამშრომლობის უფრო ფართო სპექტრით წარმოდგენის პერსპექტივებს.